



დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

შპს-ის „ინსტა“ მენეჯმენტისთვის

(საიდენტიფიკაციო კოდი N202057264)

ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თბილისი

2019 წლის 30 სექტემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა -----	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით -----	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით -	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით -----	8
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება -----	10
განმარტებითი შენიშვნები -----	11
1. ზოგადი ინფორმაცია -----	11
2. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები ---	12
3. მნიშვნელოვანი მოვლენები -----	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა -----	12
5. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	13
6. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	17
7. ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----	22
8. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში -----	24
9. დასკვნითი ნაწილი -----	24



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

არამოდიფიცირებული მოსაზრება

2019 წლის 25 აგვისტოს N25/08/19 ხელშეკრულების საფუძველზე ჩავატარეთ შპს-ის „ინსტა“ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის აუდიტი, რომელიც მომზადებულია სამართლიანი წარდგენის საფუძველების შესაბამისად.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), მისი საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლების და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობას, კაპიტალში ცვლილებებს და ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი მოსაზრებით შპს-ის „ინსტა“ ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დასკვნის შედგენის საფუძველები

აუდიტი ჩავატარე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ჩემი პასუხისმგებლობა აღწერილია მოცემულ ანგარიშის თავში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა“. „პროფესიული ეთიკის კოდექსის“ (IESBA) თანახმად, მე დამოუკიდებელი ვართ „კომპანიისგან“, მკაცრად ვიცავ აღნიშნული კოდექსის (IESBA) სხვა ეთიკურ ნორმებს და მიმაჩნია, რომ აუდიტის მიმდინარეობის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს დასკვნისთვის საკმარის საფუძველებს. ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ როგორც ფინანსური ანგარიშგების, ასევე, მმართველობითი ანგარიშგების შესახებ მოსაზრების ჩამოყალიბებისას სრულად იქნა გაანალიზებული „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საქართველოს კანონის მოთხოვნები.

სხვა ინფორმაცია (მმართველობის ანგარიშგება)

სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას. წარმოდგენილი მმართველობითი ანგარიშგების სისრულესა და უტყუარობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას.

ჩვენი მოვალეობაა გავცნოთ ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილ მმართველობით ანგარიშგებას და გამოვთქვათ მოსაზრება:

- მასში ასახული ინფორმაცია სრულად შეესაბამება თუ არა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. და
- თანხვედრაშია თუ არა, მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო მოთხოვნებზე

შპს-ის „ინსტა“ მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება სრულად შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ინფორმაციაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემების შემუშავებას, დანერგვასა და მონიტორინგს, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ინფორმაციის მომზადებას და სამართლიან წარდგენას, არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას და გამოყენებას და გონივრული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას არსებული გარემოებების გათვალისწინებით.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩემი მიზანია, პროფესიული მსჯელობისა და სკეპტიციზმის შენარჩუნებით, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოვიპოვო დასაბუთებული რწმუნება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას, მათ შორის, გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით და გამოვთქვა მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ იძლევა სრულ გარანტიას, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ყველა არსებით უზუსტობას. უზუსტობები შესაძლებელია გამოწვეული იყოს შეცდომით ან თაღლითობით და არსებითად მიიჩნევა, რომ ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენენ მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს (თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულს), ვგეგმავთ და ვატარებთ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს, რომელთა საფუძველზეც მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რაც საკმარისი და შესაფერისი იქნება მოსაზრების გამოთქმისათვის.

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული პროცედურები არ არის გარანტია იმისა, რომ არ არსებობს რისკი შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეული უზუსტობისა.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოგვაქვს დასკვნა არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც ექვის ქვეშ დააყენებდა საწარმოს ფუნქციონირებადობას. ასეთის არსებობის შემთხვევაში აუდიტორულ დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებდი ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებში, ხოლო მათი არაადეკვატურობის შემთხვევაში გამოვთქვამდი მოდიფიცირებულ მოსაზრებას. დასკვნა დაფუძნებულია მის გაცემამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა, მომავალი მოვლენების ან/და პირობების გავლენით შესაძლებელია კომპანია აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება ფასდება მთლიანობაში მისი სტრუქტურის, შინაარსის და ახსნა განმარტებითი შენიშვნების გათვალისწინებით. ასევე დგინდება, უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

შ.პ.ს-ს „ს.ბ. ფინანს-სერვისი“ გარიგების პარტნიორი

(სარეგისტრაციო N-SARAS-A-261871)

/ზ. ჯაყელი/

2019 წლის 30 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ინფორმაციაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემების შემუშავებას, დანერგვასა და მონიტორინგს, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ინფორმაციის მომზადებას და სამართლიან წარდგენას, არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას და გამოყენებას და გონივრული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას არსებული გარემოებების გათვალისწინებით.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩემი მიზანია, პროფესიული მსჯელობისა და სკეპტიციზმის შენარჩუნებით, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოვიპოვო დასაბუთებული რწმუნება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას, მათ შორის, გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით და გამოვთქვა მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ იძლევა სრულ გარანტიას, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ყველა არსებით უზუსტობას. უზუსტობები შესაძლებელია გამოწვეული იყოს შეცდომით ან თაღლითობით და არსებითად მიიჩნევა, რომ ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენენ მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს (თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულს), ვგეგმავთ და ვატარებთ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს, რომელთა საფუძველზეც მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რაც საკმარისი და შესაფერისი იქნება მოსაზრების გამოთქმისათვის.

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული პროცედურები არ არის გარანტია იმისა, რომ არ არსებობს რისკი შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეული უზუსტობისა.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოგვაქვს დასკვნა არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც ეჭვის ქვეშ დააყენებდა საწარმოს ფუნქციონირებადობას. ასეთის არსებობის შემთხვევაში აუდიტორულ დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებდი ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებში, ხოლო მათი არაადეკვატურობის შემთხვევაში გამოვთქვამდი მოდიფიცირებულ მოსაზრებას. დასკვნა დაფუძნებულია მის გაცემამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა, მომავალი მოვლენების ან/და პირობების გავლენით შესაძლებელია კომპანია აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.


წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება ფასდება მთლიანობაში მისი სტრუქტურის, შინაარსის და ახსნა განმარტებითი შენიშვნების გათვალისწინებით. ასევე დგინდება, უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

შ.პ.ს-ს „ს.ბ. ფინანს-სერვისი“ გარიგების პარტნიორი

(სარეგისტრაციო N-SARAS-A-261871)

2019 წლის 30 სექტემბერი

საქართველო, თბილისი

 ბ. ჯაყელი/

შპს-ის „ინსტა“ (სN202057264)

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	23,783,255	19,219,879
არასაოპერაციო შემოსავალი	9,804	42,618
სულ შემოსავალი	23,793,056	19,262,497
რეალიზებული პროდუქციის	13,869,153	10,892,372
თვითღირებულება		
რეკლამა და მარკეტინგი	20,890	30,206
მიწოდების დანახარჯები	71,976	39,985
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა	1,850,468	1,452,055
გასამრჯელო		
ცვეთა და ამორტიზაცია	422,775	407,698
აქტივების გაუფასურება		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო	317,485	259,014
ხარჯები		
ფინანსური დანახარჯები	4,001	25,743
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	5,000	8,400
იჯარის ხარჯი		2,600
საკონსულტაციო ხარჯი	73,012	
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	16	58,819
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	180,688	113,730
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან		
და გადაფასებიდან	171,628	129,891
მიმდინარე პერიოდის მოგება	16,987,091	13,420,513
მოგების გადასახადი		
გაუნაწილებელი მოგება	6,805,968	5,841,984
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	19,042,725	14,400,741
დივიდენდი	1,200,000	1,200,000
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	24,648,693	19,042,725

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი /გ. ბახსოლიანი/

ბუღალტერი /კ. ქაფიანიძე/

შპს-ის „ინსტა“ (სN202057264)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები

მიმდინარე აქტივები	31.12.2018	01.01.2018
ფულადი სახსრები	1,525,876.25	411,315.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,791,885.43	3,600,817.50
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	231,249.87	824,335.00
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	10,647,979.97	9,131,959.00
გაცემული სესხები		
საგადასახადო აქტივი	630,499.98	272,877.00
სხვა მიმდინარე აქტივი		
სულ მიმდინარე აქტივები	20,827,491.50	14,241,303.50
გრძელვადიანი აქტივები		
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		
საინვესტიციო ქონება	757,133.50	757,133.50
ძირითადი საშუალებები	5,716,057.38	5,179,782.00
არამატერიალური აქტივები	51,836.98	79,423.00
გადავადებული საგადასახადო აქტივი		
სულ გრძელვადიანი აქტივები	6,525,027.86	6,016,338.50
სულ აქტივები	27,352,519.36	20,257,642.00

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები	548,976.00	505,623.00
მიღებული ავანსები	1,177,797.86	460,248.00
სხვა ფინანსური ვალდებულებები	175,645.00	223,158.00
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	16,058.08	16,058.00
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		
თანამშრომლების მიმართ არსებული ვალდებულებები (გადასახდელი ხელფასები)		

სულ მიმდინარე ვალდებულება	1,918,476.94	1,205,087.00
----------------------------------	---------------------	---------------------

გრძელვადიანი ვალდებულება

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა გრძელვადიანი სასესხო
ვალდებულებებისააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში
კაპიტალი , კოოპერატივის შემთხვევაში
საპაიო კაპიტალი)

2,000.00 2,000.00

ძირითადი საშუალებების გადაფასების
რეზერვი

778,914.22 4,430.00

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი

24,648,694.44 19,042,725.00

სხვა რეზერვები

4,430.00 3,400.00

სულ გრძელვადიანი ვალდებულება**25,434,038.66 19,052,555.00****სულ ვალდებულება****27,352,519.36 20,257,642.00**

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

/გ. ბახსოლიანი/

ბუღალტერი

/კ. ქაფიანიძე/

გრძელვადიანი ვალდებულება

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა გრძელვადიანი სასესხო
ვალდებულებებისააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში
კაპიტალი , კოოპერატივის შემთხვევაში
საპაიო კაპიტალი)

2,000.00 2,000.00

ძირითადი საშუალებების გადაფასების
რეზერვი

778,914.22 4,430.00

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი

24,648,694.44 19,042,725.00

სხვა რეზერვები

4,430.00 3,400.00

სულ გრძელვადიანი ვალდებულება**25,434,038.66 19,052,555.00****სულ ვალდებულება****27,352,519.36 20,257,642.00**

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

ბუღალტერი



/გ. ბახსოლიანი/

/კ. ქაფიანიძე/

შპს-ის „ინსტა“ (სN202057264)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საოპერაციო საქმიანობა	2018 წელი
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	4,684,081.05
იჯარიდან მიღებული ფულადი სახსრები	102,702.21
მიღებული ავანსები	19,854,212.70
გადახდილი თანხების უკან დაბრუნება	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	84,066.34
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	(13,838,704.59)
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(2,970,177.82)
შრომის ანაზღაურება	(3,256.65)
მივლინება	(5,243,082.57)
გადახდილი გადასახადები	(52,311.15)
ანგარიშვალდებულ პირზე გაცემული თანხები	(57,316.83)
სხვა საოპერაციო ხარჯები	
იმპორტის გადასახადი	
შეცდომით გადახდილი თანხები	
კომუნიკაციის ხარჯები	(949.53)
საკონსულტაციო ხარჯები	(770.33)
ბანკის ხარჯები	(77,499.14)
სესხის დამტკიცების საკომისიო	(2,500.00)
საპროცენტო ხარჯები	(4,000.63)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,474,492.06
საინვესტიციო საქმიანობა	
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	
შვილობილი საწარმოს შერწყმით	
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	(90,700.88)
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(90,700.88)
საფინანსო საქმიანობა	
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	
საპროცენტო შემოსავალი	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	

საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	
დივიდენდების გადახდა	(1,185,000.00)
სესხის ძირის და პროცენტის გადახდა	
საბანკო ხარჯები/საკომისიოები	
საგარანტიო ანარიცხები	
სხვა ფინანსური ხარჯები	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(1,185,000.00)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	1,198,792.18
სავალუტო კურსის ეფექტი	(84,231.67)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	411,315.74
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	1,525,876.25

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი /გ. ბახსოლიანი/

ბუღალტერი /კ. ქაფიანიძე/

საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	(1,185,000.00)
დივიდენდების გადახდა	
სესხის ძირის და პროცენტის გადახდა	
საბანკო ხარჯები/საკომისიოები	
საგარანტიო ანარიცხები	
სხვა ფინანსური ხარჯები	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(1,185,000.00)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	1,198,792.18
სავალუტო კურსის ეფექტი	(84,231.67)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	411,315.74
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	1,525,876.25

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

ბუღალტერი



/გ. ბახსოლიანი/

/კ. ქაფიანიძე/

შპს-ის „ინსტა“ (სN202057264)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

შინაარსი	კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	12,165,737
მოგება / (ზარალი)	2,835,004
დივიდენდის გამოცხადება	600,000
ნაშთი 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	14,400,741
მოგება / (ზარალი)	5,841,984
დივიდენდის გამოცხადება	1,200,000
ნაშთი 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	19,042,725
მოგება / (ზარალი)	6,805,968
დივიდენდის გამოცხადება	1,200,000
ნაშთი 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	24,648,693

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი /გ. ბახსოლიანი/

ბუღალტერი /კ. ქაფიანიძე/

შპს-ის „ინსტა“ (სN202057264)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

შინაარსი	კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	12,165,737
მოგება / (ზარალი)	2,835,004
დივიდენდის გამოცხადება	600,000
ნაშთი 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	14,400,741
მოგება / (ზარალი)	5,841,984
დივიდენდის გამოცხადება	1,200,000
ნაშთი 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	19,042,725
მოგება / (ზარალი)	6,805,968
დივიდენდის გამოცხადება	1,200,000
ნაშთი 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	24,648,693

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

[Handwritten signature]

/გ. ბახსოლიანი/

ბუღალტერი

[Handwritten signature]

გ. ქაფიანიძე/



განმარტებითი შენიშვნები შპს-ს „ინსტა“ 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

1.ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინსტა“ გადასახადის გადამხდელად ირიცხება 1998 წლის 9 თებერვლიდან და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 202057264;

მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზაქარიაძის ქ. №8.

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი – გიორგი ბახსოლიანი (პნ 01009000867) საქართველო.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორია-გიორგი ბახსოლიანი 100% წილი.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ელექტრო სამუშაოების დაპროექტება-შესრულება და ელექტრო სამონტაჟო მასალებით ვაჭრობა.

საწარმოს სტრუქტურა შემდეგია:

- საპროექტო სამსახური
- პროექტების მართვის სამსახური
- სუსტი დენების განყოფილება
- მართვის სისტემების განყოფილება
- გაყიდვების განყოფილება
- ლოჯისტიკის და შესყიდვების განყოფილება
- ელ. ფარების საწარმო
- უსაფრთხოების და ხარისხის განყოფილებები
- საფინანსო განყოფილება

საწარმოს საქმიანობა დიდ წილად დამოკიდებულია საქართველოს სამშენებლო სფეროზე. ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში გაზრდილი ინვესტიციები და ტურიზმის სწრაფი ზრდა და მასთან დაკავშირებული სასტუმროების მშენებლობები დადებითად აისახა კომპანიაზე.

2. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები:

კომპანია საქონლის რეალიზაციას ახორციელებს ქ. თბილისსა და საქართველოს რეგიონებში. პროდუქციის მაღალი ხარისხისა და აქტიური მარკეტინგული საქმიანობის ხარჯზე დღესაც ლიდერის პოზიციას ვინარჩუნებთ.

კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, იგი ფინანსურად სტაბილურია, ყოველწლიურად იზრდება მისი აქტივები, ფინანსური მოგება და მას შეუძლია საკუთარი სახსრებით გააგრძელოს კომპანიის განვითარება და ბაზარზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნება.

3. მნიშვნელოვანი მოვლენები:

2018 წელს კომპანიამ დაიწყო ახალი სააღრიცხვო პროგრამის-SAP Business One-ის დანერგვაზე მუშაობა.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

4.1. საწარმოს მიერ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად მოხდა პირველად. 4.2. საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;

4.2. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, რაც გათვალისწინებულია საწარმოს ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშგებაში.

4.3. საწარმოს წინა საანგარიშგო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

4.4. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეტანილია წინა საანგარიშგებო პერიოდის – ფინანსური ინფორმაცია.

4.5. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად;

4.6. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- განმარტებით შენიშვნებს.

5. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

5.1. ფულადი სახსრები:

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახა ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით;

ფული და ფულის ეკვივალენტი

ნაღდი ფული საღაროში, 1100	19,125.80
ფული საბანკო ანგარიშებზე, 1200	1,506,750.45
ჯამი	1,525,876.25

5.2. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის – 31 დეკემბერს არსებული კურსით;

5.3. შეზღუდული ფული ან ფულის ეკვივალენტები საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნდა;

5.4. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი:

საწარმოს მუდმივად გააჩნია საქონლისა და მაკომპლექტებელი მოწყობილობების შესაძენად გადახდილი ავანსების ნაშთი, რომელიც მომწოდებლების მიხედვით პერიოდულად იხურება იმპორტირებული საქონლითა და მაკომპლექტებელი მოწყობილობებით.

გადახდილი ავანსები

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები, 1480 231,249.87

ჯამი **231,249.87**

5.5. საწარმოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა თვითღირებულების მოდელით, თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით;

5.6. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია გამიჯნულად ძირითადი საშუალებებისაგან;

5.7. შეძენილი საინვესტიციო ქონება და აღრე შეძენილი ქონება აღრიცხულია – თვითღირებულებით.

5.8. საინვესტიციო ქონება:

საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის საინვესტიციო ქონების-მიწის ნაკვეთის გაუფასურების ნიშნები არ არსებობდა.

საინვესტიციო ქონება	
მიწის ნაკვეთები	757,133.50
ჯამი	757,133.50

5.9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

შესყიდული მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით.

მიმდინარე სასაქონლო მატერიალური მარაგები

საქონელი, 1610 10,630,077.58

საწვავი, 1670 9,012.69

სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი, 1690 8,889.70

ჯამი **10,647,979.97**

5.10. მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულით;

5.11. ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტალონები აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად. საწვავი ჩამოიწერება სასაქონლო ზედნაღების ან ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად

გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

5.12. საწარმოს გრძელვადიანი მარაგები არ გააჩნია.

5.13. კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ცვეთის გამოკლებით;

5.14. ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები საანგარიშგებო პერიოდისათვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა; საანგარიშო პერიოდში შემფასებლების მიერ გადაფასებული იქნა საწარმოს კუთვნილი მაღაზია, რის შედეგადაც გაიზარდა აქტივის ღირებულება 775 514 ლარით და იგივე თანხა აისახა ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვში.

ძირითადი საშუალებები

მიწის ნაკვეთები	385,101.00
შენობები, 2130	5,595,157.62
შენობის ცვეთა, 2230	(1,236,193.49)
ნაგებობები, 2140	51,287.22
ნაგებობების ცვეთა, 2240	(21,534.43)
მანქანა-დანადგარები, 2150	256,754.58
მანქანა-დანადგარების ცვეთა, 2250	(223,601.03)
ოფისის აღჭურვილობა, 2160	225,472.81
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა, 2260	(210,250.22)
ავეჯი და სხვა ინვენტარი, 2170	58,237.00
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა, 2270	(55,827.33)
სხვადასხვა მოწყობილობები 2100	742,147.04
სხვადასხვა მოწყობილობების ცვეთა, 2200	(233,817.43)
სატრანსპორტო საშუალებები, 2180	453,158.23
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა, 2280	(156,734.46)
სხვა ძირითადი საშუალებები, 2195	257,493.53
სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა, 2295	(170,793.26)
ჯამი	5,716,057.38

5.15. არამატერიალური აქტივები:

საწარმოს გააჩნია ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა, რაც ასახულია არამატერიალური აქტივის სახით;

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, 2500	79,281.52
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია, 2600	(38,560.78)
ლიცენზიები, 2510	120,194.50
ლიცენზიების ამორტიზაცია, 2610	(109,078.26)
ჯამი	51,836.98

5.16. სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:

საწარმოს არ გააჩნია გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულება.

5.17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

საწარმოს სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული შემოსავლებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. ამასთან, საზოგადოებას საქონლისა და მომსახურების მიწოდება დაკავშირებული მხარეების მიმართ არ განუხორციელებია. ასეთის არსებობის შემთხვევაში მათი ასახვა მოხდებოდა განცალკევებულად.

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან, 1410	7,791,885.43
ჯამი	7,791,885.43

5.18. გამოუმუშავებელი შემოსავალი:

მიღებული ავანსები, 3120	1,177,797.86
ჯამი	1,177,797.86

5.19. გადავადებული საგადასახადო აქტივი:

მსს ფასს-ის 29-ე განყოფილების თანახმად საგადასახადო მოგებასა და ფინანსურ მოგებას შორის დროებითი სხვაობების შედეგად გადასახდელი და გაანგარიშებული გადასახადებს შორის სხვაობა აისახება საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით.

ვინაიდან წინა პერიოდებში, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, მოგების გადასახადის გასაანგარიშებელი ბაზა არსებითად განსხვავდებოდა ფინანსური მოგების გაანგარიშების პრინციპისაგან, ბუნებრივია წარმოიშვა გადავადებული საგადასახადო აქტივი. შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აღნიშნული თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აკუმულირებულია ერთ ანგარიშზე.

გადავადებული მოგების გადასახადი,	16,058.08
ჯამი	16,058.08

5.20. სავაჭრო ვალდებულებები:

საწარმოს სავაჭრო ვალდებულებების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული ხარჯებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. შესაბამისად, სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია პირვანდელი ღირებულებით.

მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები, 3110	548,973.17
---	------------

ჯამი	548,973.17
------	-------------------

5.21. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

5.21.1. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები

საწარმოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები არ გააჩნია.

5.21.2. გადასახდელი ხელფასები

საწარმო, მსს ფასს-ის 28-ე განყოფილების მოთხოვნების სრული დაცვით აღრიცხავს დაქირავებულ პირთა გასამრჯელოს. მოცემული სტანდარტის გათვალისწინებით, საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის დარჩენილი არა აქვს თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების გადახდის ვალდებულება.

5.22. სხვა ფინანსური ვალდებულებები:

გადასახდელი დივიდენდები, 3420	175,652.59
-------------------------------	------------

ჯამი	175,652.59
------	-------------------

5.23. კაპიტალი:

კაპიტალი

პარტნიორთა კაპიტალი, 5210	2,000.00
---------------------------	----------

გაუნაწილებელი მოგება, 5310	24,648,693.44
----------------------------	---------------

რეზერვები და დაფინანსება, 5400	4,430.00
--------------------------------	----------

ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი, 5420	778,914.22
---	------------

ჯამი	25,434,037.66
------	----------------------

6. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

6.1. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება ღარიცხვის მეთოდით;

6.2. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით (მოდელით);

6.3. საანგარიშგებო პერიოდში საოპერაციო შემოსავლები და მოგება გაიზარდა, რაც ასახულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

მოგება	
2017 წ.	2018 წ.
5841984	6805969
საოპერაციო შემოსავალი	
19219879	23783255

6.4. სამონტაჟო მასალები აღირიცხება ფაქტობრივად საწყობიდან გასვლის მიხედვით და კომპიუტერული პროგრამა „1 C“ მეშვეობით ავტომატურად ჩამოიწერება დაუმთავრებელ წარმოებაზე. დაუმთავრებელ წარმოებაზე აისახება დამხმარე მასალები, პირდაპირი ხელფასი (ობიექტების მიხედვით) და სუბკონტრაქტორების მომსახურება. შესაბამისად იგი ხარჯად აღიარდება სამუშაოს დამთავრებისა და მასალათა ხარჯვაზე შედგენილი უწყისის შესაბამისად. გასაყიდი საქონელი ხარჯად აღიარდება მიწოდებისთანავე.

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზ.საქონ.თვითღ.(სავაჭრო საწარმ-თვის)	11,492,232.28
დამხმარე მასალების ჩამოწერა	11,300.36
საქონლის დანაკლისი	274.42
მიღებული მომსახურება, ობიექტებისათვის	100,893.11
პირდაპირი ხელფასი	2,264,452.68
ჯამი	(13,869,152.85)

6.5. ელექტროსაქონლის ბაზარზე კონკურენცია საკმაოდ მაღალია და კონკურენციასთან გამკლავება შეუძლებელია მარკეტინგული და სარეკლამო აქტიურობის გარეშე.

სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი

კატალოგების და სარეკლამო მასალების ხარჯი	6,537.55
მიწოდების და გაყიდვების სხვა ხარჯები	14,352.48
ჯამი	(20,890.03)

6.6. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

მის ფასს შესაბამისად დასაბეგრი და ფინანსური მოგების სხვაობის შედეგი აისახება საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით. ვინაიდან ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობით მოგების გადასახადის ბაზას არ წარმოადგენს მიღებული მოგება, ხოლო ფინანსური მოგების გადასახადთან სხვაობის აღრიცხვის წესი განსაზღვრული შემთხვევისათვის რაიმე ინსტრუქციით ან სხვა სარეკომენდაციო ხასიათის მეთოდური მითითებით რეგლამენტირებული არ არის, საწარმო მიზანშეწონილად მიიჩნია ფინანსური შედეგები (საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი) შეამციროს მხოლოდ საანგარიშგებო წელს დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადით, ხოლო დარჩენილი თანხა გადაიტანოს გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე.

6.7. კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები

კომუნალური ხარჯები	10,369.02
საფოსტო გზავნილები	811.45
სსა მომსახურების ხარჯი	101.64
დენის გადასახადი	149,650.82
კომუნიკაციის ხარჯები	19,755.01
ჯამი	(180,687.94)

6.8. დამატებითი განმარტებები საქმიანობის შედეგების შესახებ:

6.8.1. ამონაგები:

ამონაგები

შემოსავალი რეალიზაციიდან	23,783,255.87
ჯამი	23,783,255.87

6.8.2. არასაოპერაციო შემოსავალი:

6.8.2.1. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/ზარალი:

ქვემოთ მოცემულია საკურსოსხვაობები, რომელიც წარმოიშვა მიმდინარე პერიოდში ფულადი

მუხლების გადაფასების (წლის ბოლოს არსებული კურსის შესაბამისად) დროს. შესაბამისად, მსს ფასს-ის 30.10 განყოფილების მოთხოვნებიდან გამომდინარე აღნიშნული თანხები აკუმულირდა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში:

წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან ან გადაფასებიდან

შემოსავალი კურსთა შორის სხვაობიდან	(171,627.53)
ჯამი	(171,627.53)

6.8.2.2. საანგარიშო პერიოდში საწარმოს საპროცენტო შემოსავალი არ ჰქონია:

6.8.2.3. სხვა ფინანსური შემოსავალი:

სხვა ფინანსური შემოსავალი (საკრედიტო ბრუნვა)

ვალდებულების დათმობასთან დაკავშირებული შემოსავლები	8,950.42
ჯამი	8,950.42

6.8.3. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აღიარებულია შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ხოლო, ჩამოწერა ხორციელდება „საშუალო შეწონილი“ ღირებულებით. ამასთან, ნედლეული და მასალები ჩამოიწერება დაუმთავრებელ წარმოებაზე ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით და კონტროლდება შესრულებული სამუშაოების რაოდენობისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად; ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ნედლეული და მასალების ხარჯი და დამხმარე მასალები ჩამოიწერება საქონლის/სამუშაოების თვითღირებულებაზე ფაქტობრივი ხარჯვის შესაბამისად.

6.8.4. პერსონალის ხარჯი

ადმინისტრაციის ხელფასი	1,575,155.64
შრომის ანაზღ.და საკომისიო გასამრჯელო	262,011.09
სპეც ტანსაცმელი და აქსესუარები	13,301.31
ჯამი	(1,850,468.04)

6.8.5. ცვეთა და ამორტიზაცია:

ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთა და ამორტიზაცია	422,775.70
ჯამი	

(422,775.70)**6.8.6. ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი:****ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი**

ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	42,636.54
საწვავის ხარჯი	18,738.25
ტრანსპორტის ხარჯები	10,601.65
ჯამი	(71,976.44)

6.8.7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:**ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი**

ოფისის ხარჯები	401.71
ლიცენზიის ხარჯები	7,691.45
დაზღვევა	53,785.97
ტრენინგისთვის გაწეული ხარჯები	2,855.59
რემონტი	416.84
კომპიუტერის ხარჯები	5,116.36
საგარანტიო მომსახურების ხარჯი	17,155.25
საკანცელარიო ხარჯი	11,305.60
მივლინების ხარჯები	33,790.47
მივლინების ხარჯები პროექტებზე	51,731.17
წარმომადგენლობითი ხარჯები	3,572.31
სამეურნეო ხარჯები	8,576.04
ქველმოქმედება	5,155.00
ბანკის ხარჯები	77,562.39

სესხის დამტკიცების საკომისიო	2,500.00
დაცვის ხარჯი	33,254.28
სხვა საერთო ხარჯები	2,614.35
ჯამი	(317,484.78)

6.8.7.1. აუდიტის ანაზღაურება:

აუდიტორის მომსახურების ხარჯი

აუდიტის მომსახურება	5,000.00
ჯამი	(5,000.00)

6.8.7.2. საკონსულტაციო ხარჯები:

საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი

საკონსულტაციო	73,011.70
ჯამი	(73,011.70)

6.8.7.3. საგადასახადო ხარჯები (გარდა მოგების გადასახადისა):

საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა

საგადასახადო ხარჯი	16.02
ჯამი	(16.02)

6.8.7.4. ფინანსური დანახარჯები:

სხვა ფინანსური ხარჯი

საპროცენტო ხარჯები	4,000.63
ჯამი	(4,000.63)

6.8.7.5.რევერსირება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე:

გაუფასურების ხარჯი/რევერსირება სასაქონლო მატ. ფასეულობებზე

შემოსავალი საქონლის ზედმეტობიდან	853.72
ჯამი	853.72

7. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

- 7.1. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში გამოიყენება ასახული ფულადი ნაკადები საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან;
- 7.2. ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია ამონაგები პროდუქციისა და მარაგების რეალიზაციიდან, მომსახურების გაწევიდან, მათ შორის იჯარიდან. საოპერაციო იჯარიდან ამონაგებმა შეადგინა:
- 7.3. საოპერაციო საქმიანობიდან ფულად ნაკადებში გათვალისწინებული არ არის ამონაგები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან და დანახარჯები ძირითადი აქტივების შეძენასა და მონტაჟზე;
- 7.4. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებში შეტანილია საგადასახადო ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული გადახდები;
- 7.5. ძირითად აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები და დანახარჯები მათ შესყიდვასა და მონტაჟზე საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიკუთვნებულია საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე;
- 7.6. საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიღებული დივიდენდები კლასიფიცირდება, როგორც საინვესტიციო ფულადი ნაკადები, ხოლო გაცემული დივიდენდები – როგორც ფინანსური ოპერაციები. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს დივიდენდები არ მიუღია;
- 7.7. ფულად ნაკადებში ფინანსური საქმიანობიდან შეტანილია გაცემული დივიდენდები.

საოპერაციო	შემოსავალი	გასავალი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4,786,783.26	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	12,484.75	64,795.90
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	8,014,352.27
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	-	5,824,352.32
მიღებული ავანსები	19,854,212.70	-
გადასახდელი ხელფასები	-	2,970,177.82
მივლინების ხარჯები	-	3,256.65
არასაოპერაციო ხარჯები	-	57,266.83
გადასახადები	-	5,243,082.57

კომუნიკაციის ხარჯები	-	949.53	
საკონსულტაციო ხარჯები	-	770.33	
ბანკის ხარჯები	-	77,499.14	
სესხის დამტკიცების საკომისიო	-	2,500.00	
სხვა საერთო ხარჯები	-	50.00	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	84,066.34	-	
საპროცენტო ხარჯები		4,000.63	
ჯამი	24,737,547.05	22,263,053.99	2,474,493.06

საინვესტიციო	შემოსავალი	გასავალი	
ძირითადი საშუალებების შეძენა		90,700.88	
ჯამი	-	90,700.88	(90,700.88)
საფინანსო	შემოსავალი	გასავალი	
გადასახდელი დივიდენდები- გიორგი ზახსოლიანი		1,185,000.00	
ჯამი	-	1,185,000.00	(1,185,000.00)

8. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში

8.1. 2018 წელს საწარმოს კაპიტალში პარტნიორთა მიერ დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა.

8.2. გამოცხადებულმა დივიდენდმა 1 200 000 ლარი შეადგინა.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის გაუნაწილებელი მოგება - 24 648 694 (ოცდაოთხი მილიონ ექვსასორმოცდარვაათას ექვსასოთხმოცდაოთხმეტი) ლარი შეადგინა.

8.2. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსურმა მოგებამ 6 805 969 ლარი შეადგინა. შედეგად,

კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში გაიზარდა მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე და 25 434 038 ლარი შეადგინა.

9. დასკვნითი ნაწილი

9.1. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2019 წლის 30 სექტემბერს;

9.2. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

კომპანიის დირექტორი

გიორგი ბახსოლიანი

მთავარი ბუღალტერი

კობა ქაფიანიძე

კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში გაიზარდა მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე და 25 434 038 ლარი შეადგინა.

9. დასკვნითი ნაწილი

9.1. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2019 წლის 30 სექტემბერს;

9.2. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

კომპანიის დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

გორგი ბახსოლიანი

 მარტა ქაფიანიძე

შპს „ინსტა“ (სN202057264) მმართველობითი ანგარიში

1. საწარმოს ძირითადი საქმიანობა:

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ელექტრო ტექნიკური სამუშაოების დაპროექტება-შესრულება, ელ. გამანაწილებელი ფარების წარმოება და ელექტრო სამონტაჟო მასალებით ვაჭრობა.

2. ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

2.1. კომპანია დაფუძნებულია 1998 წლის თებერვალში, 100% წილის მფლობელია ფ/პ გიორგი ბახსოლიანი;

2.2. საწარმოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- საპროექტო სამსახური
- პროექტების მართვის სამსახური
- სუსტი დენების განყოფილება
- მართვის სისტემების განყოფილება
- გაყიდვების განყოფილება
- ლოჯისტიკის და შესყიდვების განყოფილება
- ელ. ფარების საწარმო
- უსაფრთხოების და ხარისხის განყოფილებები

3. ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა:

ინსტას საქმიანობა დამოკიდებულია დიდ წილად საქართველოს სამშენებლო სფეროზე. ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში გაზრდილი ინვესტიციები, ტურიზმის სფეროს სწრაფი ზრდა და მასთან დაკავშირებული სასტუმროების მშენებლობები დადებითად აისახა კომპანიაზე. სამშენებლო სფეროში ბოლო დროს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები გარკვეულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული, თუმცა კომპანიისთვის შესაძლებლობებსაც წარმოადგენს.

ქვეყნის ორიენტირი ენერგო ეფექტურ და განახლებად ენერგიის წყაროებზე თანხვედრაშია კომპანიის სტრატეგიულ მიმართულებებთან.

აღსანიშნავ რისკის ფაქტორებად რჩება მერყევი სავალუტო კურსი, ასევე პროფესიონალი კადრების ნაკლებობა ადგილობრივ ბაზარზე. თუმცა, ამ უკანასკნელის მიმართულებით ბოლო პერიოდში შეინიშნება დინამიკა უკეთესობისკენ, სახელმწიფოს მიერ კონკრეტული გადადგმული ნაბიჯების შედეგად.

რისკის ფაქტორს კლავ წარმოადგენს გარკვეული სამშენებლო მასალების და შესრულებული სამუშაოების ნორმატივების და სტანდარტების არ ქონა ან არასათანადო შემოწმების მექანიზმები, რის გამოც ხშირად არა თანაბარი კონკურენციის პირობები იქმნება კომპანიებს შორის.

4. პროდუქციის/მომსახურების ხარისხი:

ინსტას ძირითადი პროცესები სერტიფიცირებულია IS 9001:2015 ხარისხის მართვის სისტემის მიხედვით, გერმანული საერთაშორისო კომპანია TÜV Süd-ის მიერ. ამ სისტემის ფარგლებში ყოველწლიურად უტარდება მინიმუმ ერთი შიდა და ერთი გარე აუდიტი. წლიური საკონტროლო აუდიტი კომპანიამ ბოლოს 2018 წლის სექტემბერში წარმატებით გაიარა.

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი მასალები და კომპონენტები წარმოებულია ისეთი წამყვანი დასავლურ ევროპული კომპანიების მიერ, როგორებიც არიან სიმენს, ლაპკაბელ, ფესტო, ეატონ და ა.შ.

კომპანიას ყავს გამოყოფილი თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია უშუალოდ შესრულებული სამუშაოების ხარისხის შემოწმებაზე. 2019 წელს კომპანიამ ასევე აიყვანა დამატებითი ხარისხის მართვის მენეჯერი.

პროცესების უკეთესი მართვის ხელშეწყობისთვის, კომპანიამ 2019 წელს დაიწყო ახალი საერთაშორისო ERP სისტემის - SAP Business One -ის დანერგვა.

5. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები:

კომპანია წლიურად ატარებს თანამშრომლების კმაყოფილების კვლევას, რის მიხედვითაც ცდილობს არსებული პრობლემები დაძლიოს და სამუშაო პირობები მუდამ გააუმჯობესოს.

კომპანია ასევე ატარებს პერიოდულ მომხმარებლების და დამკვეთების კმაყოფილების კვლევას.

6. სოციალური პროექტები:

კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას.

კომპანია ასევე პერიოდულად ეხმარება სხვა და სხვა საქველმოქმედო ფონდებს.

წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

/გ. ბახსოლიანი/

4. პროდუქციის/მომსახურების ხარისხი:

ინსტას ძირითადი პროცესები სერთიფიცირებულია IS 9001:2015 ხარისხის მართვის სისტემის მიხედვით, გერმანული საერთაშორისო კომპანია TÜV Süd-ის მიერ. ამ სისტემის ფარგლებში ყოველწლიურად უტარდება მინიმუმ ერთი შიდა და ერთი გარე აუდიტი. წლიური საკონტროლო აუდიტი კომპანიამ ბოლოს 2018 წლის სექტემბერში წარმატებით გაიარა.

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი მასალები და კომპონენტები წარმოებულია ისეთი წამყვანი დასავლურ ევროპული კომპანიების მიერ, როგორებიც არიან სიმენს, ლაპ კაბელ, ფესტო, ეატონ და ა.შ.

კომპანიას ყავს გამოყოფილი თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია უშუალოდ შესრულებული სამუშაოების ხარისხის შემოწმებაზე. 2019 წელს კომპანიამ ასევე აიყვანა დამატებითი ხარისხის მართვის მენეჯერი.

პროცესების უკეთესი მართვის ხელშეწყობისთვის, კომპანიამ 2019 წელს დაიწყო ახალი საერთაშორისო ERP სისტემის - SAP Business One -ის დანერგვა.

5. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები:

კომპანია წლიურად ატარებს თანამშრომლების კმაყოფილების კვლევას, რის მიხედვითაც ცდილობს არსებული პრობლემები დაძლიოს და სამუშაო პირობები მუდამ გააუმჯობესოს.

კომპანია ასევე ატარებს პერიოდულ მომხმარებლების და დამკვეთების კმაყოფილების კვლევას.

6. სოციალური პროექტები:

კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას.

კომპანია ასევე პერიოდულად ეხმარება სხვა და სხვა საქველმოქმედო ფონდებს.

წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი



/გ. ბახსოლიანი/